კლდე

№ 28

5 ღვინობისთვე 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

5 მან.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

ᲥᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ-ᲔᲙᲝᲜᲝ-ᲖᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

რედაქცია ღიაა 9 — 3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.



ინგლისის ფლოტის დღესასწაული.

ჟურნალ „კლდის“ კანტორისაგან

ვისაც ჟურნალის ფასი სრულიად არა აქვს გადახდილი, შემდეგ ნომრიდან ჟურნალის გზავნა მოესპობა.

ყველა ხელის მომწერსა ვსთხოვთ ადრესის შესაცვლელად წარმოადგინოს ნოლმე 5 შაური.

ს ა რ ჩ ე ვ ი: 1. მეთაური. 2. მიხურული კარები.—**ეკალისა.** 3. ქართული თეატრის აღდგენის გამო.—**ეჭ. დიმ. ჯავახიშვილისა.** 4. თეთრი ეოშკი. (ზღაპარი)—**ინისა.** 5. კვირიდან—კვირამდე. 6. ბელგია და დიდი სახელმწიფონი.—**მეომარისა.** 7. კახეთის რკინის გზა.—**რ. გ—ესი.** 8. გერმანელთა შიმზადება.

თბილისი 5 ღვინობისთვე.
1914 წ.

ქართველ საზოგადოებას ჯერ ვერ მოუხედნია გონივრულად იმ უბედურებისაგან, რომელიც თავს დაატეხა საერთაშორისო ომმა ქართველ ერს დიდ რუსეთთან ერთად, რომ მას თვითონ დაატყდა საკუთარი, კერძო უბედურება; უბედურება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მარტო სიკეთე, რადგან უბედურება—ის კვერია ერისათვის, რომლის ყოველი დაკვრა უფრო სჭედავს და აფოლადებს ერის გულსა. საერთო გრგვინვამ და ცეცხლმა ქვეყნისამ თითქო აქაც, ჩვენს დედა გულში აანთო მგზნებარე მაშხალა, რომელმაც უნდა გაგვინათოს გზა მომავალი შეერთება-შედუღებისაკენ, როგორც მთლიანი ერისა, რომელსაც „ჭირი ჭირზედ დაემატა“.

ეხლა გამოძებნის დრო არ არის იმ დამნაშავეებისა, რომელთაც დაუდევრად ხელთ უგდეს ულმობელ ცეცხლს ჩვენი ეროვნული განძი: თეატრი და ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქონება, ეხლა დრო არ არის განსჯისა (იგი თვითონ მოვა) რადგან დღეს მთელი ყურადღება უნდა მიექცეს იმის აღორძინებას, რაც დაქცეულია, იმ ჭრილობათა განკურნებას, რომელნიც ბედმა გვარგუნა. ქართული თეატრი ერთი მიცვალებულთაგანია იმ მარტიროლოგიდან, რომელიც უკანასკნელ წლებში დღითი-დღე იზრდება, ითქო იმიტომ, რომ საბოლოოდ ჩაგვაფიქროს ჩვენს ბედზედ, ჩვენს დიდს ეროვნულ საქმეზედ. და დღეს სწორედ მომწიფდა ის საკითხი, რომელიც უნდა დადებითად გადაიჭრას—დაარსება **ეროვნული ფონდისა,** რომელიც მარტო დღევანდელს შემთხვევაში კი არ წარგვხოცავს ცრემლებს, არამედ ყოველ გასაჭირში იქნება გამოსადეგი. ყოველთვის, როცა რაიმე გაჭირვება ან სიხარული დაგვატყდება თავს—პირველი საკითხი ფულია, ის თანხა, რომელიც უნდა შეიკრიბოს ყველა მოვლენისათვის საპასუხოდ და დროა, ვიფიქროთ, რომ ერთი დიდი აუზია საჭირო, საცა ერის პატარა-პატარა წყარომ იდინოს მუდამ, რომ ყველა წყლულს სათანადო მალამო დასდოს. დღეს, როცა ათასობით დაგვიბრუნდებიან დაჭრილნი, როდესაც უნუგეშოდ დატოვებული ოჯახები ითხოვენ ლუკმას, როდესაც ქართველი ეროვნების ტაძარი თხოულობს აღდგენას ფერფლიდან, ქართველი საზოგადოება ღრმად უნდა ჩააფიქროს საერთო სახელმძღვანელო აზრმა, რომელმაც საერთო სახსარიც უნდა აღმოაჩინოს. ჩვენა გვაქვს დაწესებულებანი, ჩვენა გვყვანან სოდებანი, ჩვენა გვყავს მშრომელი და გამრჯელი ხალხი, რომელნიც ყოველთვის შესძლებენ, ძალის მიხედვით, წვლილის გამოღებას დიად ეროვნულ საქმისათვის. ვეცადნეთ, ვიშრომოთ ყველამ და ღირსეულ ბოლომდის მივიყვანთ კიდეც, თუ ერთსულოვნად ვიმოქმედებთ მთლიანი საქმისათვის ისევე, როგორც ეხლა ავმოძრავდით ნაწილობრივისათვის.

მიხურული კარები

მე მახსოვს მე XIII კრება რუსეთის წარჩინებულ მეცნიერთა და ინტელიგენციისა ქართულ თეატრის დარბაზში, „ქართულ კულტურულ საზოგადოების“ მიერ გამართულ საღამოზედ შეკრებილი.

თეატრი გაჭედილი იყო სტუმრებით. პროფესორები და მეცნიერნი ადგილის უქონლობისა გამო „გალიორკაში“ ზედი-ზედ ისხდნენ. ყოველი დამსწრე ერთი სურვილით იყო გატაცებული:

გაიგოს, თუ ვინ და რა არის ქართველობა, საქართველო.

დიდის ყურადღებით უსმენდნენ ქართველ ლექტორებს, რომლებიც დინჯად, დარბაისლურად და საგნის ცოდნით უცხოელ სტუმრებს ქართველ ერის ვინაობას და მის ეროვნულ კულტურულ შინაარსს აცნობდნენ.

რუსთა აუდიტორიის წინ გაიარა წარსულმა ისტორიამ ქართველი ერისა, მის წარჩინებულ გვამთა მისმა ლიტერატურამ, მუსიკამ, ხელოვნებამ.

წარმოუდგენელი იყო რუსთა განათლებულ ხალხის გაკვირვება.

ბევრნი ერთგვარ მოუხერხებლობასაც ჰგრძნობდნენ.

„მოვდიოდით, ჩვენის წარმოდგენით, ველურ ქვეყანაში და ძველად-ძველ ცივილიზაციის ბუდეს წავაწყდითო“, — გულახდილად სთქვა ერთმა დამსწრე რუსმა პროფესორმა.

ჩვენ თვალწინ გადიშალა ჩამოყალიბებული კულტურული ერი, ამაყი და ძლიერი თავის დიად წარსულით და სამართლიან იმედებით სამშობლოს აღორძინების ახლო მომავლისაო. და ამ დანაშაულის გამოსასწორებლად რუსთა განათლებული ხალხი აღფრთოვანებით მიეგება ქართველ ლექტორებს.

დარბაზში ტაშის გრიალი დიდხანს არ სცხრებოდა.

მაგრამ საუცხოვო იყო ის წუთი, როდესაც ერთმა ლექტორმა თავისი ბოლო სიტყვები თავაზიან საყვედურით დაამთავრა;

„თქვენ, ბატონებო, ამ რამდენიმე დღის წინად მეცნიერულ სხდომაზედ ერთხმად სურვილი გამოსთქვით, რომ ერთი მძვირფასი მცენარე, რომელიც მარტო ამიერ-კავკასიაში იზრდება, აუცილებლად მოვლილი და შენახული უნდა იყოსო, რომ მეცნიერებას და კაცობრიობას ასეთი ძვირფასი განძი არ დაეკარგოსო, განა პატარა ისტორიულ-კულტურულ ქართველ ერის შენახვა კაცობრიობისათვის უფრო საჭირო არ არის? ქართველი ერი ბევრად ძვირფასი განძია, რომლის მსგავსი თავის განსაკუთრებულ ეტნოგრაფიულ თვისებებით, კულტით, მუსიკით, მდიდარ ისტორიულ წარსულის ტრადიციებით, დედამიწის ზურგზედ არ მოიპოვება. და ამიტომ თქვენც, ბატონებო, როგორც პროგრესის და ცივილიზაციის წარმომადგენლებს ამ პატარა ქვეყნის შენახვაც გევალებათ“.

ქართულ თეატრის დარბაზს რუსების ოვაციებისაგან ზანზარი გაჰქონდა.

გუშინ თქვენ არ გიცნობდით, დღეს კი ჩვენი გულის კარები ქართველი ერის ბუნებრივ მოთხოვნილებათათვის ღიაა, ამბობდა იმ წუთს განათლებული მოწინავე ინტელიგენცია რუსეთისა.

——

მაგრამ ის იყო მარტო წუთი... თანამედროვე ეგოისტურ-პოლიტიკურ ინტერესთა ხანაში ეს გულის კარებიც მიიხურა. დღევანდელი დიადი და გამწვავებული საერთაშორისო ბრძოლა ნათლად გვიმტკიცებს, რომ ზოგჯერ არამც თუ ყველა ისტორიულ-კულტურული საგანძური უყურადღებოდ მიტოვებულია, არამედ გათელილიც... რადგანაც ამ წუთში მის ალაგას ერთი ძლიერი ფაქტორი ჩნდება:

პოლიტიკური.

პოლიტიკური ინტერესი ყველა სხვა საგანძურსა ჩრდილავს და სიმპატია—ანტიპატიის გრძნობებსაც ახშობს.

და აი, დღეს, როდესაც საერთაშორისო ასპარეზზედ პოლიტიკური ინტერესი გამეფდა, საქართველოს ღირებულებაც ამ ინტერესთა მიხედვით იზომება.

შენ ძალა გაქვს მიშველო ან ხელი შემიშალო, მაშ შენ ფასიცა გაქვს... არც ერთში გამოსადეგი არ ხარ, მაშ არაფრაად ღირხარ! ამბობს ეს პოლიტიკა.

გადაშალეთ დღევანდელი ლიბერალური რუსული გაზეთები.

ვინ არიან მოწვეულნი დღეს რუსეთის ახალ პოლიტიკურ სამზარეულოში?

ყველანი, ქართველების გარდა.

იქ შეგხვდებათ—პოლონელი, ებრაელი, ფინი, ესტი, რუსინელი, უკრაინელი სომეხი...

ქართველს კი ვერსადა ნახავთ.

რატომ? იმიტომ, რომ დღევანდელ რუსეთის პოლიტიკურ წრეების წარმოდგენით საქართველოს პოლიტიკური ღირებულობა არა აქვს.

ეს აზრი მეტად სხარტულად და მასთან გულუბრყვილოდ ბ. მილუკოვის გაზეთმა გამოსთქვა, როდესაც მოურიდებლად აღნიშნა, რომ ამიერკავკასიაში მისი ყურადღება მარტო სომხებისაკენ არის მიქცეული და ქართველობას ყური არც კი ათხოვა.

რა დიდი შეცდომაა...

დაჭრილი ავსტრიელი მოსკოვის ლაზარეთში.

აქ კვლავ მაგონდება ზემო ნახსენებ რუს პროფესორის ბოდიში და სინანული.

„ჩვენ გვეგონა ველურებთან მოვდივართ... მაგრამ სულ წინააღმდეგი აღმოუჩენია:

კულტურული ერი.

ქართველი ერის პოლიტიკურ დაფასებაში ეს შეცდომა მეორდება. და ამიტომ დროა ჩვენც გავიხსენოთ ეს მხარე და მოკლედ მაინც ავწონ-დავწონოთ წარსული, აწმყო და მომავალი პოლიტიკური შინაარსი ქართველი ერისა და სამართლიანი ფასიც დავსდოთ. წარსულში ეს ღირებულება მეტად მარტივია.

პატარა საქართველო იყო პირველი და ძლიერი ავანპოსტი რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისა წინა აზიაში.

1801 წლიდან დაწყებული, 1878 წლამდის ქართველ ერს იარაღი არ დაუყრია. გლეხი, აზნაური, თავადი ერთგულად და თავგანწირულად მხარ და მხარ რუსებთან ერთად სასტიკ ბრძოლას ეწეოდა რუსეთის იმპერიის მტრებთან.

ამიერ კავკასიაში ერთი კუნჭული, ერთი ბილიკი არ მოიპოვება, რომელიც არ იყოს ქართველ მეომრის სისხლით მორწყული და მისი ძვლებით მოფენილი, რუსეთის სადიდებლად.

სპარს-ოსმალეთის სიმაგრენი ამიერ კავკასიაში ქართველების დახმარებით სამუდამოდ დანგრეულ იქმნება.

ამას მოწმობს სამხედრო ბრძოლის ისტორია წარსულ საუკუნისა, რომელიც დღეს თავაზიანად არხივში მიიმალა.

გადაშალეთ მისი ფურცლები და რას ნახავთ: წინა აზიაში ორი ძლიერი ერი იბრძოდა რუსეთის საქმისათვის:

პირველი თვით დიდი რუსეთი

მეორე—პატარა საქართველო.

პირველისა იყო რეგულიარული ჯარები

მეორისა სარდლები და თვით მთელი ქართველი რაინდობა გამოჭედილი ცეცხლში და მახვილში.

არც ერთი მტრის რაზმის დამარცხება, არც ერთი მისი ციხის აღება-დანგრევა უქართველებოდ არ მომხდარა.

თამამად შეგვიძლიან ვაღვიაროთ, რომ წინა აზიის დაპყრობის საქმეში ქართველ ერს დიდი წილი უდევს. ამის მოწმეა ის წაუშლელი ძეგლები, რომელიც რუსეთის მთავრობამ აუკო ქართველ ერსა: ახალციხესა, შატილში და სხვა ადგილებში. ამასთან ყველა ქართველთა ტომს აქვს უმაღლესად სამხედრო დროშები. ნაბოძები ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო წმ. გიორ-

გის ხარისხის დროშებითაა დაჯილდოებული და დღემდისაც დროშები ქართველობას აბარია.

ასეთია მოკლედ წარსულ საუკუნის ქართველობის მოღვაწეობა.

ახლო წარსულშიაც არ იცვლება ეს სურათი.

მე-XX საუკუნის დასაწყისში, ახალ რუსეთის პროგრესიულ მოძრაობაში, მოწინავე რუსთა საზოგადოებასთან ერთად ქართველები ასევე თავგანწირვით იბრძოდნენ და მისი მრავალნი შვილნი მსხერპლად შეეწირნენ ახალი რუსეთის შექმნის საქმესა.

აქაც ქართველი ერი, განურჩევლად წოდებისა იბრძოდა საერთო რუსეთის ინტერესებისათვის, იბრძოდა და ისეთი თავგამოდებული ენტუზიაზმით, რომ არც ერთხელ თავისი საკუთარი ინტერესები სერიოზულად წინ არ წამოუყენებია.

ამის საბუთი გინდ ის გახლავთ, რომ აქამდის სახელმწიფო სათათბიროში ქართველი ერის წარმომადგენელებად საერთო ინტერესებით გამსჭვალული სოციალისტი დეპუტატები იგზავნებოდა.

დღესაც, იმპერიის გასაჭირის დროს, საქართველომ 100,000 რჩეული მებრძოლი, მრავალი ქართველი აფიცერი წარბშეუხრელად რუსეთს შესწირა და მათ შინ დაბრუნებასაც აღარ მოელის.

და ყველა ამას სჩადის თანახმად იმ პოლიტიკური ანდერძისა, რომელიც დაუტოვეს საქართველოს ჩვენმა წინაპრებმა: მართლმადიდებელ რუსეთთან ერთად ერთგულად ებრძოლეთ საერთო იმპერიის მტერსა. ამით დიდ რუსეთსაც ეკალება, თანახმად საქართველოს რუსეთთან ხელშეკრულობის პირობებისა, ქართველი ერის ნაციონალური სახის შენახვა და **პატრონობა.**

ამ იმედით და რწმენით დღემდის ქართველი ერი თავდადებულად სწირავს თავის საუკეთესო შვილებს დიდ იმპერიის საქმეს.

იქნებ ამ ერთგულებამ შეიყვანა შეცდომაში ბრძენი ბელადი კადეტთა პარტიისა და იქნება ამან წააშლევინა პოლიტიკური რუქიდან ქართველი ერი?

დიდი და საშინელი შეცდომაა!



რეიმსის საუცხოვო ტაძარი (დანგრეული გერმანელებისაგან).

ქართველობის ასეთ ერთგულობას რუსეთისადმი სარჩულად საფუძვლიანი, მწყობრი პოლიტიკური იდეა უდევს.

რუსეთის გაძლიერებისათვის აქამდის საჭირო იყო საქართველოს ძალებიც და აკი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაური საქმეები აწეწილი იყო, ყველაფერი შევწირეთ და უკანასკნელი ძალებიც შევალიეთ. ეხლა, გაძლიერებული რუსეთია საჭირო იმ პატარა ერთა ეროვნულ საქმის მოწყობაში და განსაკუთრებით კი საქართველოსთვის, რომელმაც თავისი შვილთა დიდძალი მსხვერპლით რუსეთის წიძლიერეს წინა აზიაში მეტად ბევრი შეჰმატა.

საქართველოს არავისთვის უღალატნია, მით უმეტეს თავის თავისათვის. და თუ გავლენიანი ლიბერალური კადეტთა პარტია მომავალ „ლხინში“ ქართველებს კარებს უხურავს, ეს მაჩვენებელია იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკური ღირებულება წინა აზიაში ჯერ მათთვის სრულიად უცნობია.

არც წინა აზიისა, არც საქართველოს ისტორია ჯერ არ დამთავრებულა და არც ახლო მომავალში დამთავრდება.

აგე გადახედეთ შორეულ აღმოსავლეთს... იწყობა, ირაზმება მუსულმანთა ქვეყნები, პანისლამიზმის ძლიერი მიმდევარნი, თავის დროშებსა შლიან და ამიერ-კავკასიის საზღვრებს ადგანან.

დღეს თუ არა, რამდენიმე წლის შემდეგ ეს ტალღა აქაც აუცილებლად გადმოვარდება.

აგე, გაიხსენეთ ის ახალი და დიადი ფაქტორიც, რომ მახლობელ აღმოსავლეთის საკითხი ბალკანეთიდან ამიერ-კავკასიის კიდეებს მოადგა, სადაც გამოისახება მომავალი მწყობრი და ორგანიული ინტერესები მრავალ ევროპის და აზიის ქვეყნისა.

კარების მიხურვა ქართველ ერისათვის ამ გამწვავებულ დროს და ამ ალაგას პოლიტიკური სიბეცე იქნებოდა, მეტადრე ისეთ გავლენიან პარტიისათვის, როგორც კადეტთა პარტიაა, რადგანაც საქართველო და ქართველი ერი საერთაშორისო ასპარეზზედ, დღესაც პატარა, მაგრამ ჩაუქრობელი ეროვნული ძალაა.

ძალა, რომელიც ვერც წარსულმა შავმა ძალებმა აზიისამ ჩააქრეს და ვერც დღევანდელი ბრძნული დიპლომატიურ-ვაჭრული მოქმედება ჩააქრობს კადეტებისა.

ერის ძალას დიპლომატები კი არა ჰქმნიან, არამედ თვით ერის თვითმოქმედების უნარი. მისი განუზომელი სურვილი სიცოცხლისა, მისი იდეალები და გარშემო პირობანი.

ეს კი მოითხოვს რუსეთის პოლიტიკურ მოღვაწეთაგან, მით უმეტეს მისი მოწინავე წრეებისაგან ერთს აუცილებელ ფაქტსა:

პოლიტიკას ღია კარებისას.

ეკალი.

ქართული თეატრის აღდგენის გამო

ჩვენი ხალხის აწმყო კულტურულ-ეკონომიურ მდგომარეობის თვალით რომ შევხედოთ სათავადაზნაურო ქარვასლის თეატრის და წ.-კ. საზოგადოების წიგნის საწყობის დაწვას, ამითი ისეთი დიდი ზარალი დაგვატყდა თავსა, რომ იგი უბრალო დანაკლისად კი არა, მთელ კატასტროფად უნდა ჩავთვალოთ, რადგან ჩვენ ეროვნულ ეკონომიურ სალაროში არც ნაღდი და არც გაცემული არ მოიპოვება. ეკონომიურად ძლიერი წოდება ან კლასი რომ გვყავდეს, მაშინ აგრეთი მწვავე საგრძნობელიც არ იქნებოდა ეს ზარალი, რადგან საკმარისია ორი-სამი მდიდარი ქველმოქმედი მამულიშვილის უხვი სურვილი შეწირულებისა და მთელი დანაკლისის აღდგენაც მზად იქნებოდა. სხვა შეძლებული ერების ცხოვრებაში ასობითა და ათასობითაა ესეთი მაგალითი. ჩვენ კი სულ სხვანი ვართ „როცა გვქონდა ვფლანგეთ“...ეხლა კი ღარიბნი ვართ.მაგრამ შორს უნდა იყოს ჩვენგან სასოწარკვეთილება და დაღონება! ჩვენ უნდა შევძლოთ თითქმის შეუძლებელი,—ახლო მომავალში უნდა აღვადგინოთ უპირველესად ძვირფასი კულტურული საუნჯე —ქართული თეატრი, ან ახალი ავაშენოთ, უკეთესი სახისა და თვისებისა. ამასთან უნდა მოკრძალებით ვაღიაროთ „დამწვარის“ ხსოვნის წინაშე, რომ **ხალხისაგან** აღდგენილი ტაძარი უფრო ძვირფასი, საყვარელიც იქნება, რადგან მის აღდგენაში ჩაყოლილ იქნება ხალხისაგან მონაგარი ზოგჯერ უკანასკნელი გროშიც—გამონაწური სულიერი სიძლიერისა. ამისთვის ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რაც შეიძლება პოპულიარული გავხადოთ აზრი ჩვენი დამწვარი თეატრის აღდგენისა. დაუყონებლივ უნდა ამოქმედდეს ყველა ჩვენი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება-საზო-

გადოებანი. დიდი ღვაწლი უნდა დასდონ არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, რათა სული ჩაბერომ ამ დიად აზრსა. ᲣᲜᲓᲐ შეექმნათ პროვინციებში კომიტეტები თეატრის აღდგენის“-თვის საჭირო თანხის მოსაგროვებლად. ყოველი შეგნებული ქართველი დარაჯად უნდა უდგეს ამ საქმის კეთილად წაყვანას, რათა, რაც შეიძლება მალე დავიმშვიდოთ ისედაც დიადი მომენტით გატაცებული, აღელვებული გული. იქნებ პირველად ამაში გამოიხატოს აწმყოსთვის საჭირო, სავალდებულო ეროვნული ერთსულოვნება-გაერთკაცება. იქნებ განგებისაგან განზრახაც იყოს მოვლენილი ამ მნიშვნელოვან მომენტში ეს თავზარდამცემი ზარალი, ჩვენი სულიერი შესაძლებელი სიძლიერის წინასწარ გამოსაცდელად. მაშ შევძლოთ შეუძლებელი—ადვადგინოთ ქართული დამწვარი თეატრი.

ᲔᲥ. ᲓᲘᲛ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

თეთრი კოშკი

(ზღაპარი)

სადღაც, ცხრა მთის იქით, ერთ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ სამეფოში, მაღალ მთის წვერზე, ერთი დიდი, დიდი, ძალიან დიდი კოშკი იდგა. სულ თეთრი, კამკამა მარმარილოს თლილი ქვით იყო საგები. თავი ცის სიმაღლეში ეკარგებოდა. კოშკის კარშემო, მთის კალთებს საუცხოო წალკოტი ამკობდა. კოშკის ძირას მწვანე ხავერდზე მთის უკვალებს მოეკალათნათ; მოშორებით სარო ტანიანს წიწვიან ხეებს მოენახათ თავისთვის ბინა; შემდეგ კი ათასნაირი ფოთლიანი ხეები იშლებოდნენ თავლწინ. ალაგ-ალაგ სხვა და სხვა ფერის ბუჩქები იყო მოფანტული. კარშემო სურნელება იბნეოდა. ბუჩქების ძირას ნაზი ია მორცხვად იდიმებოდა. წალკოტის შუაგულში მარმარილოს შადრევნებიდან ლურჯი კაშკაშა წყალი გადმოდიოდა და ქაფად ეფინებოდა მარმარილოსვე უზარმაზარ ჭაუზებს. წალკოტის მთელ სიგრძეზე მთის ᲞᲐᲢᲐᲠᲐ, გიუმაჟი მდინარე მიექანებოდა და მთის ძირას მდებარე ტბაში ჩახრიალებდა, ტბის ზედაპირს აქაფებდა და აქეთ-იქით მზისკენ აბზინებულს მარგალიტის მარცვლებს ისროდა. ტბას სახე ხან უნაოჭდებოდა, ხან ეხსნებოდა და მზის სხივებს ათამაშებდა. ტბაში თეთრი გედების გუნდი დასრიალებდა, ხან იშლებოდა და ხან იფანტებოდა, ხან კიდევ იკუმშებოდა, თეთრად დაპბაპებდა ადიოდა მაღალ და წალკოტის მჩქეფარე შადრევნებისაკენ მიეშურებოდა. წალკოტში მგალობელ ფრინველთა ყივილ-ხივილი ისმოდა. კარს ხეების კაჭქონდათ ზრიალი და მიდამო სიგრილით ივსებოდა.

კოშკიდან ხანდისხან ისეთი საამური იდუმალი ხმები გამოდიოდა, რომ მთელი არე-მარე იხიბლებოდა: ხეების შრიალი სდგებოდა, ფრინველთა ყივილ-ხივილი სწყდებოდა, ტალღა მდინარე მხოლოდ და ყმურტულებდა და გედების გუნდი ტბაზე ინაბებოდა.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ სამეფოში ქალი მეფობდა. ხალხი მეტ სახელად მეფე ქალს მზეკინარს ეძახდა. სწორედ რომ ზედ გამოჭრილი იყო ეს სახელი. ისეთს შუქსა ჭვენდა ქალის სახე კარშემო, რომ მზის შუქი იმასთან შედარებით მბეჟუტავი ვარსკვლავის შუქად მოსჩანდა.

შორს იყო კავარდნილი მზეკინარის სახელი. მეფე თავის გონიერებით და სილამაზით ყველას ჭიბდავდა. ქვეშევრდომნი აღმერთებდნენ და სულში ისვამდნენ.

დიდათ უფრთხილდებოდა მზეკინარი თეთრ კოშკსა, უფლიდა, ამკობდა.

კოშკი ოდესღაც ერთს გრძნეულ მეფეს აეგო, დაებარებინა ხალხი და ასე ეთქვა: ამ კოშკში ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი ინახება და ისე უნდა გაუფრთხილდეთ, როგორც თქვენს თვალის ჩინსა, თორემ უბედურობა გეწვევათო. ამ სიტყვების შემდეგ მეფე გამოსთხოვებოდა ყველას და უცბად სადღაც გაქრალიყო.

ეს ამბავი კარგა იცოდა მზეკინარმა და მტერს არ ახარებდა: მეფე-ქალმა კოშკს ალმასის კბილებიანი ლაბიერი შემოავლო, ლაბიერის ქვევით ლოდის ოდენა ლალები შემოუწყრეა. კოშკის სარკმელების ზედა რიგს სავიერონები ჩაუსხა. კოშკის თეთრს კედლებზე ზოგან ლომთა ბრძოლა გამოაკვეთინა, ზოგან ირმის მსროლელი ლადი მონადირე, ზოგან გმირთა შეჯახება, ზოგან ძღვა მოსილი ჯარის შინ დაბრუნება.

ხალხმა კოშკს სახელად მზეკინარის კოშკი უწოდა.

ერთხელ მეფე გამარჯვებული ბრუნდებოდა სახლში. კოშკს რომ მოუახლოვდა, კოშკის სარკმელებიდან ნარნარმა ხმებმა იწყო დენა, მიდამო ტიური ჭანგებით გაივსო. მეფის ქება ისმოდა. უცბად კოშკის ერთ მხრიდან სხივთა კონა გამოკრთა, მარაოსავან გაიშალა და მზეკინარს თავს გადაეფარა. სხივებში სიტყვით აუწერელი სამეფო გვირგვინი გამოჩნდა. ნელ-ნელა მოძრაობდა და თავის ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜ თვლებში სხივების ანარეკლებს ატიმტიმებდა.

ერთ მშვენიერს დღეს ხმა გავარდა, რომ მზეკინარი ძალიან ავად გახდაო. დილიდანვე სასახლის კარშემო აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველანი მოუსვენრობასა გრძნობდნენ. ყველას გული უკვნესოდა.

დადგმდა. უცბად მიდამო გულსაკლავმა გმინვამ მოიცვა. ხალხი შეძრწუნდა.

— მზევინარის კოშკი კვნესის, ხალხნო! მზევინარის კოშკი! წამოიეგერა ერთმა თავზარდაცემულმა.

ეკლესიამ თეთრს კოშკს მიაშერო თვალები. კოშკიდან სისხლის ფერი შუქი კამოდიოდა და თან გულსაკლავი ხმა გამოსდევდა.

— ხალხნო, ჩვენს თავს რაღაც უბედურებაა! — დაიეგერა ახლა მეორემ.

— დიახ, ჩვენს თავს უბედურებაა. — სთქა ამ დროს ზედ დატანებით სასახლიდან გამოსულმა დიდებულმაცა. — ჩვენმა მზემ სული განუტევა.

ხალხს ენა ჩაუვარდა, კაშრა.

კოშკი კი მთელი დამე სულ გმინავდა.

გაქრა მზევინარი და ქვეყანას მზრუნველი ხელი მოაკლდა. თეთრი კოშკი მტერმა ხელში ჩაიგდო, ჯერ გაძარცვა და მერე ნგრევა დაუწყო. თვითეულ ქვის გადმოგდებაზე კოშკი ისეთს გმინავდა, რომ არე-მარე ტოდვით იწოდა. კედლები ადამიანის სხეულივით იგლეჯებოდა და თეთრი კამკამა მარმარილო სისხლით იღებებოდა. კოშკის წალკოტი გაეერანდა, მთის ტალქი მდინარე სადღასაც გაჭქრა, ტბა ჭაობად იქცა და გველ-ბაყაყით აივსო.

ხალხიც დადუშვის გზას დაადგა.

ინი.



ავსტრიელთა მძიმე არტილერიის გაუბიცა.



გერმანელთა მძიმე არტილერიის ზარბაზანი, რომლის თვლები შეკედილია ფოლადის ფიცრებით სიმძიმით რომ მიწაში არ იფლობოდეს.

კვირიდან—კვირამდე

ახალი შეწირულება. როგორც გადმოგვცემენ ცნობილ ქველმოქმედ ზუბალაშვილს დამატებით შეუწირნია რუსეთის ქალთა საზოგადოებისათვის (დაჭრილების მოსავლელად) 200,000 მანეთი.

მასთან ამავე წყაროდან გვეცნობა რომ გრაფინია ე. ვორონცოვ-დაშკოვისას ამავე მიზნით გადასცა 25,000 მანეთი.

——

ზ. დ. ბაქრაძის დაჯილდოვება. ზაქარია დიმიტრის ძე პოდპოლკოვნიკი ბაქრაძე (ცნობილ ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის შვილი) ვაჟკაცური ქცევის გამო ქ. ლვოვის აღების დროს, მთავარ-სარდალის მიერ პოლკოვნიკის ჩინითა და ოქროს იარაღით იქმნა დაჯილდოვებული.

——

შტაბს-კაპიტანი ლ. გ. გაბაშვილის სიკვდილი. პრუსიის საზღვარზედ მძიმედ დაიჭრა გორის მსროლელთა ბატალიონის კაპიტანი და ქართველ საზოგადოებისაგან ცნობილი, ლევან გრიგორის ძე გაბაშვილი. ამ რამდენიმე დღის წინად მძიმე ჭრილობებისაგან ლევანი გარდაცვლილა.

——

სამელიორაციო კრების მოწვევის გამო. სამელიორაციო ბიურო დეკემბერში ამიერ კავკასიის სამელიორაციო მოღვაწეების მოწვევას მაინც აპირობს. არ ვიცით, რა აზრი აქვს ამ კრების ამისთა-

ზ. დ. ბაქრაძე.

გიორგი პავლეს ძე არჯევანიძე (ხელში დაჭრილი პრუსიის საზღვარზედ).



ფრანგული მძიმე გაუბიცა (რამილიო).



ინგლისური ზარბაზანი.

ხა გაჭირვებულ დროს მოწვევასა. სოფელი დაცარიელდა, ამ საქმის მცოდნენი, რომლის მონაწილეობა მეტად სასურველი იქნება, აიშალ-დაიშალნენ. საზოგადო მოღვაწენიც დღევანდელ ომიანობით გამოწვეულ საჭირ-ბოროტო საქმეებით დატვირთულნი არიან. და ვიღამ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ კრებაზედ! ასეთი სერიოზული საგნები, როგორც სამელიორაციო კანონ-პროექტების განხილვაა, სამელიორაციო საქმის ამიერ კავკასიაში ახლად მოწყობა და სხვა, საჭიროობენ უფრო მშვიდ ხანას და მეტი ხალხის მონაწილეობის მიღებას. არც ერთი და არც მეორე ხელს არ უწყობს ამ კრების ამა წლის დეკემბერში მოწვევას. და უფრო გონიერად მოქიცეოდა საორგანიზაციო ბიურო თუ ამ კრებას სხვა დროისთვის გადასდებდა.

ომის მატიანე.

27 ენკენისთვეს გერმანელებმა ორი კვირის ალყის შემდგომ აიღეს უდიდესი ევროპიული ციხე-ქალაქი ანტვერპენი.

——

ამავე დღეს გარდაიცვალა რუმინიის მეფე კარლოს I და რუმინიის ტახტზედ ავიდა მისი მემკვიდრე ფერდინანდი.

——

28 ენკენისთვეს გერმანელთა წყლის ქვეშ მავალმა ნავებმა დაღუპეს რუსეთის კრეისერი „პალლადა“. „ბაიანი“ და „ადმირალი მაკაროვი“ შემოხვევამ გადაარჩინა ასეთსავე ბედსა.

——

29-ს გერმანელებმა აიღეს გენტი.

ბელგია და დიდი სახელმწიფონი

ეხლანდელს ომში სამთა შეთანხმების სახელმწიფოთ ე. ი. რუსეთს, ინგლისს და საფრანგეთს განუზომელი სამსახური გაუწია პატარა ბელგიამ, რომელიც სამკუთხი სოლივით ჩაჭედილა გერმანიასა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის და ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებით მიკრულია ჰოლანდიასა და ლუქსამბურგზედ. ბელგია ისევე, როგორც ჰოლანდია და პაწია ლუქსამბურგი ევროპიელ დიდ სახელმწიფოთაგან აღიარებული იყო ნეიტრალურ სახელმწიფოთ და მაშასადამე მ სი ტერიტორიის ხელშეხება არავის შეეძლო. ამ რიგად მისი პოლიტიკური ბედი საუკეთესო პირობებში იმყოფებოდა და არავითარი საფრთხე არ ელოდა, რაც მეტად აადვილებდა შინაურ ცხოვრების განვითარებას. იგი არ იყო იძულებული თავით-ფეხამდე შეიარაღებას, მაგრამ მაინც თადარიგს იჭერდა: ჰყავდა შესაფერისი ჯარი, აგებული ჰქონდა ციხეები (ლიეჟი, ანტვერპენი, ნამიური და სხ.) და თოფხანა-ქარხანები. გარდა ამ სტრატეგიული სამზადისისა, ბელგია ყოველთვის პოლიტიკურად საფრანგეთისკენ ილტოდა, რაც გადაჭრით ნამეტნავად ეხლა აღმოჩნდა, თუ გამართლდა საბოლოოდ ის ხმები, რომ შარშან ბელგიის მთავრობა სამხედრო კონვენციით შეეკრა საფრანგეთისა, რომლის ძალით ჯერ კიდევ ლიეჟთან გერმანელებს წინააღმდეგობას უწევდა უმთავრესად საფრანგეთის და არა ბელგიის ჯარი. თუ ეს ასეა, მაშინ ბელგიის ნეიტრალიტეტი მისსავე მთავრობას დაურღვევია და გერმანიისაგან გამხეცებულ აკლება-აწიოკებას თითქო ზნეობრივი სიბნელე სცილდება ოდნავ, თუ კი ზნეობაზედ შეიძლება ლაპარაკი პოლიტიკისა და სტრატეგიის სფეროში. მაგრამ იმისდამიუხედავად თუ ვინ არის დამნაშავე ამ საქციელში, ბელგიამ მამაცურად გასწირა თავი და ამით დაუფასებელი სამსახური გაუწია სამთა შეთანხმებას; იმდენად დაუფასებელი, რომ შესაძლებელია მის თავგამოდებას საბედისწერო შედეგები მოჰყვეს გერმანიის არა მარტო ეხლანდელ სამხედრო კომპანიისა, არამედ ისტორიისათვისაც. ნუ დავივიწყებთ, რომ თანამედროვე ომში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს სისწრაფე; იმდენად განსაკუთრებულს, რომ ბევრჯელ ერთი დღით დაგვიანებასაც კი შეუძლიან მთლად დაღუპოს ზოგიერთი ლაშქრობა. სწორედ ამ სისწრაფეზედ ამყარებდა გერმანია თავის სამხედრო გეგმას, რადგან ჯერ ერთი იგი ყველაზედ უკეთ არის მომზადებული ომისათვის ტეხნიკურად და მაშასადამე ყველაზედ უწინ შეეძლო მოესწრო მზაობა (მობილიზაცია) და მეორეც ომის გაჭიანურება — გერმანიის დამღუპველია. დრო, — აი გერმანიის ბედის მკვერელი სტიქიონი. „ელვასებური იერიში“ იმიტომ იყო აყვანილი გერმანიის სამხედრო მეცნიერებაში უმაღლეს საფეხურზედ, რომ იგი ამ ომში გერმანიისათვის აუცილებელი იყო: ორ ფრონტზედ ბრძოლა ორს ისეთ მძლავრ მოწინააღმდეგესთან, როგორიც არიან რუსეთი და საფრანგეთი გერმანიისათვის ერთსა და

იმავე დროს—დიდს გასაჭირს წარმოადგენს თავისთავადაც და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ინგლისს მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ შეუძლიან საკმაო ჯარის მიშველება—ნათელი ხდება, თუ გერმანიისათვის სისწრაფეს რა პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ასეც ჰქონდა გადაწყვეტილი ვილჰელმს: ერთის დაკვრით გაენადგურებინა საფრანგეთის ჯარი, აეღო პარიზი, შეეწერა დიდი კონტრიბუცია და მოჰბრუნებოდა რუსეთს, რომლის მოუმზადებელ ჯარებს იმ დრომდე თამამად შეიმაგრებდა ავსტრია და გერმანიის ციხე-სიმაგრეები. მთელი ეს გეგმა, მართლაც ნამდვილ ფაქტებთან შეფარდებული და მაშასადამე ადვილად სისრულეში მოსაყვანი, დაიმსხვრა ბელგიის ზღუდეებთან. ბელგიის წინააღმდეგობა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ომის დასაწყისში, გაზეთების ცნობებით, გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები გაკვირვებულნი იყვნენ: მათი უფროსების სიტყვით—ბელგია უბრძოლველად გაატარებდა მთელ ჯარსა. ამბობენ, რომ სურსათიც კი არა ჰქონდათ საკმაო. ამ მოულოდნელმა შეფერხებამ, რომელიც თავისთავად მცირე ეპიზოდს წარმოადგენს დიდი ომისას, შეძლება მისცა, ერთის მხრით, საფრანგეთს თავის უმწეო მდგომარეობიდან გამოსვლისა და საკმაო ჯარის შეკრებისათვის და მეორე მხრით, რუსეთს დრო დარჩა თავისი ურიცხვი ჯარი საზღვრებისაკენ გადაეყვანა. თითქმის მთელი თვე შეაჩერა ბელგიამ გერმანიის ნიაღვარი და ამ გაუთვალისწინებელმა გარემოებამ ძირიანად შესცვალა გერმანიის ომის ტემპი: საფრანგეთი და რუსეთი მოემზადნენ და ამით ომი „ელვასებური იერიშებიდან“ ხანგრძლივ ბრძოლად გადააქციეს. ეს მით უფრო საშიშია გერმანიისათვის, რომ ეკონომიურად და ფინანსიურად გერმანია ხელსაყრელ პირობებში ვერაა ხანგრლივ ბრძოლისათვის. თანამედროვე ომის ხარჯები მეტად დიდია, მისი ზეგავლენა ხალხის ეკონომიურ დაქვეითებაზედ მეტად შესამჩნევი და გერმანიისათვის ყველა ორკეცდება იმით, რომ ინგლისსაფრანგეთის ფლოტმა ყოველმხრივ გზა შეუკრა, რის გამო სურსათი ვერ შემოაქვს საკმაო, ნაწარმოები თავისი ვერ გააქვს წესიერად და ცუდ პირობებში ჩავარდნილს ფულსაც არავინ ასესხებს.

გერმანია გასაჭირშია და თუმცა ფაქტიურად ორი წლის განმავლობაშიაც შეუძლიან სასტიკი ბრძოლა მისი ხსნა გამუდმებულ გამარჯვებაზედაა დამყარებული მხოლოდ: რამდენჯერაც ღონიერად დაჰკრავს მტერსა, იმდენად გარეშე მაყურებელნი მეტს ანგარიშს გაუწევენ, იმდენად მოპირდაპირეთა ძალების დაქსაქსვაა მოსალოდნელი. ყველა ეს მარცხი დამართა ბელგიამ გერმანიას და გასათვალისწინებელია რა შედეგი მოსდევს ამას ბელგიისათვის. გერმანია, რაღა თქმა უნდა, სასტიკად მოექცა ბელგიას და მთელი ეს პატარა ქვეყანა იავარ ჰყო. მაშინ როდესაც ჯარი რომ გაეტარებინა თავისუფლად, ან მარტო პროტესტით შეხვედროდა, რის უფლებაც ჰქონდა ზნეობრივად (გერმანიის ძლიერ იმპერიისათვის იგი მხოლოდ ლუკმა იყო) გერმანიისაგან ასეთ აოხრებას ადგილი არ ექნებოდა. მეორეს მხრით, რა შეჰმატა, ან რას შეჰმატებს საფრანგეთი და ინგლისი? ჩვენ კარგად ვიცით, რომ დღეს-დღეობით გაოხრებული ბელგიისათვის ვერც ინგლისი და ვერც საფრანგეთი ისეთს ვერას გააკეთებს, რომ აუნაზღაუროს დანაკლისი, მეორეც, განა ეხლავე არა სჩანს, რომ ინგლისის და საფრანგეთის მცირედი მაშველი ჯარები მარტო აორკეცებენ გერმანიის სისასტიკეს და არავითარ ნამდვილ ფარს არ წარმოადგენენ. ან როგორ შეუძლიანთ, თუნდაც უნდოდეთ, გაუწიონ სხვას მფარველობა, როცა თვითონ აქვთ შინ იმდენი საძნელო საქმე. ან პოლიტიკაში ვის გაუწირავს თავი სხვისათვის? და ნათლადაცა სჩანს, რომ ბელგია დღეს-დღეობით ფარივით აიფარეს დიდმა სახელწიფოებმა თავისი საკუთარი მიზნებით. რას ჰპირდებიან ახლა სამაგიეროდ? ტერიტორიალური შემატება ბელგიას არსაიდან არ შეუძლიან, პოლიტიკური შეღავათი რამ პირვანდელ ნეიტრალიტეტზედ უკეთესი შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, ეკონომიურად და კულტურულად აღდგენას ათ წლობით ველარ მოახერხებს; ნუ ვიანგარიშებთ ხალხის ამოჟლეტას და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების სამუდამოდ დაღუპვას.

ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ ბელგიის ყმაწვილმა მეფემ, ჯერედ გამოუცდელმა პოლიტიკაში, მშვენიერს ოცნებებს და სიმართლეს შესწირა თავისი ქვეყანა, ვერ ასწონ-დასწონა მსოფლიო ძალთა განწყობილება. მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ გერმანიამ ბელგიის ტერიტორიაზედ თვითონაც დიდი მსხვერპლი მოიტანა, როგორც ადამიანთა სისხლით, ისე ფულით, იარაღით და სხ. ბელგია დაიპყრო ძალით და მომავალ მშვიდობიან კონფერენციაზედ, თუ კი ხმა შერჩა იმ დრომდე—ყოველ ღონეს იხმარს, რომ დაპყრობილი ქვეყანა დაპყრობილადვე დარჩეს, მით უფრო, რომ მისმა წინააღმდეგობამ, როგორც თავში ვსთქვით, სრული-

ად შესცვალა საომარი გეგმა და თვით ბელგიაში ნახული ზარალი მეასედსაც არ შეადგენს იმ ზარალისას, რომელიც ნახა და კიდევაც ნახავს გერმანია სამთა შეთანხმებასთან ბრძოლაში ბელგიის სიმამაცისა წყალობით. ასეთია ბელგიის პერსპექტივები დიდ სახელმწიფოთა წყალობით.

---

27 ენკენისთვეს ანტვერპენი აიღეს გერმანელებმა. რომ კაცმა გარკვევით გაითვალისწინოს ამ ფაქტის ყოველმხრივი მნიშვნელობა, უნდა წარმოიდგინოს თუ რა მდგომარეობა ეჭირა და რას წარმოადგენდა ეს ციხე-ქალაქი. ანტვერპენი ერთი უძლიერესი ციხე იყო მთელს ევროპაში, შემოვლებული ოთხპირი სიმაგრეებით. იგი მდებარეობს მდინარე შელდის მარჯვენა ნაპირზედ 15 ვერსის მანძილზედ ჰოლანდიის საზღვრიდან. შელდა ისეა გაგანიერებული ზღვიდან ანტვერპენამდე, რომ თითქმის ზღვის ყურეს შეადგენს და უდიდეს გემებს შეუძლიანთ ქალაქამდი შესვლა. იგი ერთი უკეთესთაგანი ნავთსადგურია, საიდანაც ევროპის და ბელგიის ვაჭრობა სწარმოებს სხვა ქვეყნებთან; იგი ბელგიის ერთი უღონიერესი სტრატეგიული და იმავე დროს ეკონომიური ბურჯი იყო. მისი სიმაგრეები სხვა და სხვა ხარისხოვანი იყვნენ. გარეშე სალტე, რომელიც 15—20 ვერსით არის დაშორებული ქალაქს—წარმოადგენს ცალ-ცალკე ციხეფორტებს, რომელსაც აერთებს რკინისა და წყლის გზები; ჩრდილოეთით ამ ფორტებს ხელოვნური არხები და წყლის შესამაგრებელი ჯებირები აკავშირებენ, რომელნიც სურვილისამებრ შეიძლება გაირღვნენ და წყლით დაჰფარონ მთელი მიდამოები. ამ პირველ ხაზს მისდევს მეორე 3—5 ვერსის სიშორეზედ, შეერთებული პირველთან და ერთმანეთს შუა საუკეთესო რკინის გზებით და გზატკეცილებით. ამ ხაზის ფორტები რიცხვით 12—15-მდე სულ $^1/_2$—3 ვერსით არიან დაშორებულნი ერთმანეთს, ისე რომ თითქმის გაუვალ კედელს შეადგენენ არტილერიით და ჯარით გამაგრებულს.

მესამე ხაზი უკვე ქალაქს აკრავს და წარმოადგენს მაგარს კედელს კოშკებით და თხრილით შემოვლებულს, ბეტონის გუმბათიან საფარებით და მძიმე არტილერიით შეჭურვილს.

მეოთხე ხაზი ციტადელია ქალაქისა, შიგნითი ციხე, რომელიც ტეხნიკის საუცხოო ნაწარმოებს წარმოადგენს.

ანტვერპენის საციხოვნო ჯარს მიჰმატებია როგორც ეხლა გამოირკვა, გარდა ბელგიის დამარცხებული ჯარებისა ინგლისელთა 8,000 მეზღვაური, ამ რიგად თვით ანტვერპენში უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ 50—60,000 ჯარისკაცისა. გერმანელებმა ჯერ კიდევ 12 ენკენისთვეს ანტვერპენს ალყა შემოარტეს 125,000 ჯარით, რომ საფრანგეთისაკენ გზა უზრუნველი ყოფილიყო ბელგიელთა და ინგლისელთა თავდასხმისაგან. მოსალოდნელიც იყო, რომ ინგლისელები სტრატეგიულის მოსაზრებით დიდძალს ჯარს მიაშველებდნენ ამ უკანიდან დასაცემ ადგილს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ეტყობა ინგლისში პოლიტიკურ მოსაზრებათ მეტი გასავალი აქვთ, და ბელგია უმწეოდ იყო მიგდებული თავის ძალთა ანაბარა. გაზეთებმა ისიც კი გადმოგვცეს, რომ ბელგიელ გენერალს ნება არ მიუცია ინგლისელ 8,000-სათვის ციხიდან გასვლის დროს, ზურგი გაემაგრებინა, ისინი წინ გაუსტუმრებიათ, და იმათგანაც 2000 გადასულა ჰოლანდიის ტერიტორიაზე და იარაღი დაუყრია. ეს უკანასკნელი უცნაურობა პირდაპირ განწირვასა ჰგავს ბელგიისას.

ასე თუ ისე ანტვერპენი აღებულია და გამოირკვა საბოლოოდ ის აზრი, რომ ეხლანდელი საომარი იარაღისათვის, ნამეტნავად გერმანელ ახალ საოცარ 40 გოჯიან მძიმე ზარბაზნებისათვის აღარ არის შეუვალი ციხეები; გამოირკვა რომ ციხეებს, რომელნიც მილიონებად უღირს ყოველ სახელმწიფოს, სრულებით ეკარგებათ თავისი მნიშვნელობა.

მაგრამ გარდა ამ სამხედრო მნიშვნელობისა, ანტვერპენის აღებით გერმანელებმა დიდი ზნეობრივი და ფიზიკური ძალა იგდეს ხელთა. ჯერ ერთი, რაც უნდა იყოს, ეს დიდი გამარჯვებაა, რომლითაც აშკარავდება, რომ ბელგიას ფაქტიურად დამცველი არავინა ჰყავდა გარეშე თავისთავისა. მეორეც ანტვერპენის აღებით, ფაქტიურად ბელგია მთლად გადავიდა გერმანიის ხელში, ვინაიდან უკანასკნელ დროს ბელგიის თვით არსებობის ნიშანი ამ ქალაქში ღა იყო მომწყვდეული და დარჩენილი გაუვლელი ტერიტორია ოსტენდემდე და თვით ოსტენდეც ანგარიშში ჩასაგდები აღარ ირის; მესამეც ის, რომ ბელგიის ხელში ჩაგდებით, გერმანელები პირდაპირ წარუდგნენ ინგლისს, რომელსაც საფრანგეთ-ბელგიის ჩრდილო კუთხიდან ემუქრებიან

აეროპლანებისა, ცეპელინების და წყლის ქვეშ მავალ რაზმებით. *)

ანტვერპენის აღება ანთავისუფლებს აგერედვე იმ საალყო ჯარს, რომელიც გერმანიას დაბანდებული ჰყავდა, ისე რომ სულ უკანასკნელ 100,000 ჯარის კაცი თავის არტილერიით და „საოცარი ზარბაზნებით“ გაამაგრებს საფრანგეთ-ინგლისის მარცხენა ფრთაზედ მებრძოლ ჯარებს.

ანტვერპენის აღებით გერმანიამ „ზურგი მოიმაგრა“ და სამთა შეთანხმების სტრატეგებს განსაკუთრებული სისწრაფით მოქმედება სჭირიათ რომ დროზედ ისეთი დაჰკრან გერმანიას ამ ახალი გამარჯვების მონაგები გაუბათილონ.

ახლო მომავალში უნდა ველოდეთ ამ გაბათილების შედეგებს.

მეომარი.

კახეთის რკინის გზა

კახეთის რკინის გზაზედ ჩვენ ბევრი წერილი დაგვიწერია, ბევრი მელანი და შრომა დაგვიხარჯავს იმ ხანაში, როცა მისი ბედი სწყდებოდა და მრავალი მტერიც კი შევიძინეთ იმათ შორის, ვინც შეგნებულად თუ შეუგნებლად ღალატობდა დიდ საქმეს და ხელს უშლიდა მის გადასვლას ჩვენს ხელში. იმ დროს ბევრი იწერებოდა კახეთის რკინის გზის ეკონომიურ და ყოველმხრივ მნიშვნელობაზედ, ნამეტნავად მის სიდიადეზედ, როგორც შინა მეურნეობის განვითარების ფაქტორზედ. ჩვენი მკითხველისათვის ეს მხარეები თითქმის ზედმიწევნით არის ცნობილი და მათზედ აღარ შევჩერდებით. დღეს გვინდა მხოლოდ გავუზიაროთ ის სიხარული, ის გრძნობა კმაყოფილებისა და სიამაყისაც, რომელსაც იწვევს ამ რკინის გზის ამუშავება, მისი „პირველი ნაბიჯები“, თუ ითქმის ასე. ჩვენ მუდამ თვალყურს ვადევნებდით ამ გზის ვითარებას და ყოველი ადლი მისი ლიანდაგისა, ყოველი ხიდი, ყოველი სადგური თვალწინ გვიშლიდა უფრო მკაფიოდ, დაწვრილებით, იმ მნიშვნელობას, რომელიც უნდა ჰქონდეს ამ დიდს მეურნეობას ჩვენთვის. პირველმა სამგზავრო მატარებელმა ორიოდე დღით უსწრო იმ დიდ ეროვნულ უბედურებას, რომელიც ქართული თეატრის დაწვით გვეწვია და იმედი ვიქონიოთ, რომ ეს სიმბოლიური მოვლენაა და ყოველ ჩვენს დანაკლისს წინ უსწრობდეს მისებრი დიდმნიშვნელოვანი მონაგები. კახეთის რკ. გზის შერჩენას კი ქართველობის ხელში დიდი ეკონომიურ-კულტურული შედეგები მოსდევს, იმდენად დიდი, რომ შესაძლებელია, თუ საზრიანობა გამოვიჩინეთ, თვით ამ გზამ აგვიშენოს არა ერთი ხელოვნების და მეცნიერების ტაძარი, უფრო მშვენიერი, უფრო მდიდარი, ვიდრე ის, რომელიც წარსულ კვერას გულიდან ამოგვგლიჯა დაუნდობელმა ცეცხლმა.

მაგრამ საკითხავი სწორედ ეს **საზრიანობაა**, და ჩვენს დიდს სიხარულში, რომელიც გამოიწვია პირველი მატარებლის გასრიალებამ ალაზნის სამოთხეში, მისმა პირველმა გუგუნმა,—როგორც ზღვას წმინდას ერთვოდა ნაკადი შავი ნაღველის, რომ ამ დიდ საქმეშიაც, როგორც ყოველგან ჩვენ საზოგადო საქმეებში, დაიბუდებს უგულო უსაქმურობის უმრავლესობა ბოროტგანმზრახველთა უმცირესობის გვერდით და დაიჩრდილება აქაც ხმა სიმართლისა და სიმხნევისა. მაგრამ უკანასკნელ დროს, ქართველ საზოგადოებაში გარეშე და შინაგან პირობათა ზეგავლენით თითქო იღვიძებს უნარი თვითშეგნებისა, უნარი განწმენდისა უწმიდურებისაგან, წარკვეთისა იმ წევრთა, რომელნიც ქრისტეს „ერთი ჭუჭყიანი ღორივით“ მთელ ფარას პილწავენ... თითქო იღვიძებს, და ჩვენც იმედი გვაქვს რომ ახალ საქმეში მაინც იხელმძღვანელებს ქართველი საზოგადოება შეგნებულის არჩევანით და დიდი მექანიზმის ყოველ თვალს, პატარასაც კი, სათანადო და შესაფერ ხელსა და თავს მიუჩენს. რასაკვირველია, ამ საქმეში დიდი ხმა ექნება თავად-აზნაურობას, როგორც პატრონს რკინის გზისას, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამაც დიდი დახმარება უნდა გაუწიოს რომ ისეთი ბრძოლით მოპოებული საქმე ღირსეულად მოაწყოს და აწარმოვოს.

როგორც გავიგეთ, ამ წლის ბოლომდის გზა იმდენად იქნება დასრულებული, რომ გაიხსნება წინასწარი მოძრაობა მთელს ლიანდაგზედ თბილისიდან სიღნაღით თელავისაკენ და წნორის წყალზედ; ეს მოძრაობა იქნება როგორც საბარგო, ისე მოგზაურებისათვის, ისე რომ ფაქტიურად კახეთის რკინის გზა ათას-ცხრაას-მეთხუთმეტე ახალს წელი-

*) ეს წერილი აწყობილი იყო, რომ კავზეთებმა ახალი ამბავი მოიტანეს: გერმანიაში გაცხარებული მუშაობაა 50 ახალ წყლის ქვეშ მავალ ნავის ასაგებად და ტეპელინებისათვის წყალმბადის გასაკეთებლად.

წადს კახეთის შუაგულში იდღესასწაულებს და გადაიქცევა იმ ძარღვად, რომელიც განუწყვეტლივ დაიწყებს ზიდვას სხვა და სხვა საქონლისა და ხალხისას კახეთში და კახეთიდან. ეს ძარღვი გადაბამს შიგნით კახეთს ქართლსა და იმერეთთან, აგრედვე კავკასიის სხვა კუთხეებთან და რუსეთთან. ამ ძარღვმა უნდა აამოქმედოს თავის სიგრძეზედ ჩვენი და ვაჭრობა მრეწველობაც, განავითაროს მეურნეობა და ხელი შეუწყოს იმასაც, რაც კახეთში უკვე საუცხოვოდ აროის განვითარებული—მეღვინეობასა, მეთამბაქეობას, მეცხვარეობას და სხ.

იმედით დაუხვდეთ კახ. რკ. გზის მომავალს და გული გავიკეთოთ მოლოდინით, რომ ღირსეულ საქმეს ღირსეული მოთავეები და მოხელენი ეყოლებიან.

რ. გ.

კაპ. ანტ. მაქ. წუწუნავა (დაჭრილია).

პორ. ილ. რცხილაძე (მოკლულია).

კაპ. ა. ანდრონიკაშვილი (ლვოვთან დაჭრილია).





აეროპლანების სადევნი და დასახვრეტი ჯავშიანი ავტომობილის შინაგანი მოწყობილობა და მათი სასროლი ყუმბარები.

გერმანელთა მომზადება

ცნობილი სამხედრო მწერალი შერფილი, სწერს გერმანიის ჯარზედ, რომ იგი მართლაც საუცხოოდ არის მოწყობილი მოწინავე. ჯარებს წინ უძღვებიან ჯავშიანი ავტომობილები ტყვიის მფრქველელით. იმათ ბატარეებს ჰყავთ მფინავები, რომელნიც თვალყურს ადევნებენ მტრის მოძრაობას და ხელმძღვანელობენ სროლას. ყოველ კარგ მსროლელს აქვს, როგორც იაპონიაში, ღურბინდი. ყოველ ქვეითა რაზმში აქვთ მანძილის მზომელი მანქანა: ყოველ როტაში აქვთ მასალა თხრილების საფარებისათვის.

ჯარში ხმაროობენ, ღამის იერიშებისათვის, დიდ პროჟექტორებს რითაც მტერს ანათებენ და იმავე დროს თვალს უხვევენ. გერმანელები ხელოვნურად სარგებლობენ თავის მდებარეობით, რომელიც უხილავია ხოლმე მტრისათვის. გერმანელებმა იციან როგორ მიაყენონ მტერს საშინელი ზარალი. იმათი ტყვიის მფრქვეველნი, ხან ჯვუფობით ხან ცალ-ცალკე და ყოველთვის კარგად დამალულნი, სთესავენ სიკვდილს. გერმანელთა რაზმების პირველი რიგები მიდიან მტრისაკენ ძნებს ამოფარებულნი. წინ აყენებენ საუკეთესო მსროლელთ, რომეცნიც სცდილობენ მტრის უფროსები დახოცონ. ეს მსროლელნი ხშირად ხეებზედ ადიან და იქიდან ისვრიან. სრული შეთანხმება, არტილერიის და ქვეითა ჯარის მოქმედებისა. ამ ცოდნას უნდა დაემატოს სამხედრო ხერხიც: ისინი ხდიან მოკლულ მტრის ჯარისკაცებს ტანისამოსს და აცმევენ თავიასთ მოწინავე რაზმებს. ასეთი ბოროტი მასკარადი, რასაკვირველია შველით გერმანელებს. სასარგებლოა აგრედვე კაცმა იცოდეს მტრის ყოველივე წერიმალი, მაგრამ ყველა ამას უნდა დაემატოს ერთი რამ: ლაშქარი, თუნდაც კარგად მომზადებული, აღჭურვილი ყველაფრით რაც საჭიროა, მაგრამ მარტო მცარცველი და არა იდეით გამსჭვალული — უნდა დამარცხდეს. (**რუს. სლ.**

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები:

1) სილოვან ხუნდაძის ლექსები. რომელიც შეიცავს 289 გვერდს და ღირს ერთი მანეთი.

2) „ვინ იყო ილია ჭავჭავაძე" — გამოცემა ი. კერესელიძისა. თხუთმეტი გვერდია, ღირს 3 კაპ.

3) „მელვინეობა" ქომ. კ. მოდებაძისა. 39 გვ. ფასი — 5 კაპ.



ზარბაზნების სამეფო
(სხვა და სხვა სისტემის ზარბაზნები უკანასკნელ გამოფენაზედ ამერიკაში).

რედაქტორ-გამომცემელი **რ. გაბაშვილი.**

განცხადებანი

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ **„კლდე“-ზედ.**

ფასი წლის ბოლომდის 1 მან. 40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ.

ქ. გორში, დღეს ოქტომბრის 5-ს გამოვა

პირველი ნომერი ოთხველდღიური გაზეთის

„ახალი ქართლი“-სა

ფასი წლიურად 6 მან., თვიურად 75 კაპ., ცალკე ნომერი 5 კაპ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5.